პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 182 (6237)

16 სექტემბერი, შაბათი, 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совета Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ი. პ. რიაბოვი თბილისში

თბილისში სამ დღეს იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. პ. რიაბოვი. პირველ დღეს მან იმოგზაურა კახეთში, სადაც ეწვია მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. შეხვდა მევენახეებს, ღვინის მრეწველობის მუშაკებს, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რაიონების პარტიულ და საბჭოთა აქტივს.

ამხანაგი ი. პ. რიაბოვი იყო გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ზვრებში. იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მიესალმა მევენახეებს, უსურვა ყოველივე საუკეთესო ცხოვრებასა და შრომაში.

მეორე დღეს ამხანაგი ი. პ. რიაბოვი იყო თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, გაეცნო რესპუბლიკის ამ მოწინავე საწარმოს მუშაკთა შრომის პირობებს.

საღამოს ი. პ. რიაბოვი დაესწრო თბილისის „დინამოსა" და იტალიის „ნაპოლის" კლუბის ფეხბურთელთა მატჩს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებთან საუბრისას ამხანაგ ი. პ. რიაბოვს გააცნეს რესპუბლიკის საქმეთა ვითარება, პრობლემები, რომლებიც ამჟამად დგას პარტიული ორგანიზაციების წინაშე, მათი გადაჭრის მიმდინარეობა და გზები. მან დადებითად შეაფასა რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესასრულებლად, მათი წვლილი პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სოციალისტური და ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზაციისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

რესპუბლიკაში მოგზაურობისას ამხანაგ ი. პ. რიაბოვს ახლდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. ჩხეიძე და ა. ნ. ინაური.

14 სექტემბერს ამხანაგი ი. პ. რიაბოვი თბილისიდან გაემგზავრა.

(საქინფორმი).

### სპეციალური პრიზი დაიმსახურა

**მაიკოპში** დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა **ს. მარქარიანმა** („შრომითი რეზერვები", მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **თ. ხუდოევი**) სინქრონულ ხტომებში მესამე ადგილი მოიპოვა. მასვე გადაეცა სპეციალური პრიზი სირთულის უმაღლესი კოეფიციენტისათვის.

### მედლებისთვის. წყალქვეშ

**ვენა.** საბჭოთა სპორტსმენებმა 5 ოქროს მედალი მოიპოვეს წყალქვეშა ორიენტირებაში ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ავსტრიის პატარა ქალაქ ოსიახის თვალწარმტაც ტბაში მიმდინარეობს.

საბჭოთა გუნდი დამაჯერებლად ლიდერობს საერთო გუნდურ ჩათვლაში.

ტალინელმა ა. დავიდოვიჩმა ორჯერ გაიმარჯვა პროგრამის სხვადასხვა სახეობაში. თითო ოქროს მედლები მოიპოვეს ნ. სალმინამ, ს. ტრუნევმა (ორივე — ნოვოსიბირსკი) და სევასტოპოლელმა ლ. სტეპანოვამ. (საკდესი).

### ტანვარჯიში

#### საბჭოთა სპორტსმენთა წარმატება

**მილანი.** აქ დამთავრდა ევროპის პირველი ჩემპიონატი იუნიორ ტანმოვარჯიშეთა შორის, სადაც დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებმა. მათ დაიკავეს ყველა საპრიზო ადგილი ასეთი თანმიმდევრობით: მრავალჭიდში გაიმარჯვა ლვოველმა სპორტსმენმა 18 წლის ბ. მაკუცმა, რომელმაც დააგროვა 56,65 ქულა, მას 0,1 ქულით ჩამორჩა ა. პოპოვი (ვლადიმირი), ხოლო მესამე ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ა. ანისიმოვი — 56,05. ამას გარდა, ცალკეულ სახეობებში ბ. მაკუცმა დაისაკუთრა 3 მცირე ოქროს მედალი, ა. ანისიმოვმა — 3 და ა. პოპოვმა— 1.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო 14 წლის რუმინელი ტანმოვარჯიშე ე. ებერლე — 38,1 ქულა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა 13 წლის ხარკოველ ტანმოვარჯიშეს ნ. კარამუშკას — 37,9, ხოლო ბრინჯაოსი — ვიტებსკელ ტ. არჟანიკოვას — 37,7 ქულა. ნ. კარამუშკამ ამას გარდა მოიპოვა 2 ოქროს მცირე მედალი ცალკეულ სახეობებში.

### ველოსპორტი

#### „ტურ დე ლ' ავენირი" ფინიშს უახლოვდება

**პარიზი.** „ტურ დე ლ' ავენირის" რბოლის რვა ეტაპის შემდეგ 11 ქვეყნის 74 ველოსიპედისტმა (შეჯიბრება 90 სპორტსმენმა დაიწყო) დაისვენა. საფრანგეთის პრესა საგულდაგულოდ აშუქებს რბოლის მიმდინარეობას. „ტურის ისტორიაში პირველად,— წერენ გაზეთები, — საბჭოთა გუნდმა აშკარა უპირატესობით ჩამოიტოვა დანარჩენი მეტოქეები. მას სამი პირველი ადგილი აქვს პირად ჩათვლაში. ა. ავერინმა, რომელიც თანაქალაქელი ს. სუხორუჩენკოვის შემდეგ 11 ადგილზეა, ბოლო ეტაპზე მესამე გამარჯვებას მიაღწია".

ველორბოლის ლიდერმა, კუიბიშეველმა ს. სუხორუჩენკოვმა მეცხრე ეტაპზე (რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი) წარმატების მიღწევით კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა. დასაწყისში მან 122 კმ 2:58.54-ში დაფარა და პირველი მივიდა ფინიშთან ჯგუფურ რბოლაში. შემდეგ მონაკვეთზე შეჯიბრებაში 34 კმ-ს გავლას 51.01 მოანდომა და 8 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ მ. გრაზდიკს (ჩეხოსლოვაკია).

საერთო ჩათვლაში სუხორუჩენკოვი 3.32-ით უგებს მეორე ადგილზე მყოფ თანაქალაქელ ა. ავერინს. III ადგილზეა რ. გალიალეტდინოვი (კუიბიშევი). ავერინი კვლავ საუკეთესოა ყველაზე სტაბილური მრბოლელის წოდებისთვის, ხოლო ლენინგრადელი ს. მოროზოვი (საერთო IV ადგილი) „მთის მეფის" წოდებისთვის ბრძოლაში.

9 ეტაპის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს. (საკდესი).

## ევროპის ჩემპიონის მანევრი

**„სპორტის** დედოფალი" ზუსტად სამი თვის შემდეგ კვლავ ეწვია თბილისს — „დინამოს" სტადიონზე, მის სარბენ ბილიკებსა და სექტორებში კვლავ გაჩაღდა მძლეოსანთა შეჯიბრებები, ოღონდ, ამჯერად, მასში საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობენ, ისინი, ვინც თავიანთი რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს ოლქებისა და მხარეების ნაკრები გუნდების ღირსებას იცავენ.

დილიდანვე რამდენიმე სახეობაში თითქმის ერთდროულად დაიწყო ასპარეზობანი. დღის ბოლოს კი მედლების მხოლოდ ოთხი კომპლექტი დარიგდა. პირველნი, ვინც უმაღლესი ჯილდოს მოპოვებისთვის შეჯიბრებაში ჩაებნენ, 3000 მეტრზე მორბენალი ქალები იყვნენ. 30 მონაწილე სიძლიერის მიხედვით ორ ნაწილად გაიყო. კონკურსმა უძლიერესებს თავი მოუყარა მეორე გარბენში, აქ სხვებთან ერთად ერთმანეთის პირისპირ დადგა ევროპის ორი ჩემპიონი — პრაღაში ამ დისტანციაში გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ულმასოვა (უზბეკეთი), რომელმაც მაშინ მსოფლიოს ოფიციალური რეკორდი (8.33,8) დაამყარა და 1500 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. რომანოვა (რსფსრ).

რომანოვამ ხელთ იგდო ლიდერობა და მოწინავე პოზიციები ორი კილომეტრის მანძილზე შეინარჩუნა. მერე მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ბელოუსოვა დაწინაურდა. მაგრამ თურმე გამარჯვება არც მას ეწერა.

**ულმასოვამ** ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ამ დისტანციაზე ბადალი არ ჰყავს — ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა საფინიშო სწორზე ნამდვილი სპრინტერის სისწრაფე აჩვენა და კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მედალიც მიუმატა — 8.48,4.

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული რომ იყო, ამას სხვა პრიზიორების მაჩვენებლებიც ადასტურებს. ბელოუსოვა ჩემპიონს მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩა, სამაგიეროდ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **ს. გუსკოვას** (მოლდავეთი) 0,1 წამით აჯობა.

...ჩემპიონატის საზეიმო გახსნას დაწყებამდე კიდევ რამდენიმე სახეობაში გაიმართა საკვალიფიკაციო შეჯიბრება. ძლიერებმა ადვილად მოიპოვეს ბრძოლის გაგრძელების უფლება. მათ შორის იყო სამხტომში თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ სანეევიც, რომელსაც საკვალიფიკაციო ნორმატივის (16,30 მ) შესასრულებლად მხოლოდ ერთი ცდის შესრულება დასჭირდა.

... სტადიონზე სამწყობრო მუსიკის ჰანგების თანხლებით შემოდიან მედროშენი, რომელთაც სპორტსაზოგადოებების მედროშეთა კოლონა და ჩემპიონატის მონაწილე გუნდები მოჰყვებიან. აქ არიან სპორტსმენები, რომლებიც მარტო ამ ჩემპიონატში წარმატებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ სავაისოდ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში თავიანთ გუნდებში ადგილებისთვისაც. ზრუნავენ სპარტაკიადამდე კი არც ისე ბევრი დრო დარჩა...

სტადიონზე შემოდის ევროპის XII ჩემპიონატში გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომლის წევრებმა პრაღაში 13 ოქროს, 12 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, მათ ვ. სანეევი მოუძღვით.

ჩემპიონატის მონაწილეებს ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის, საქართველოს სპორტკომიტეტისა და მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის სახელით მიესალმა ამ ფედერაციის თავმჯდომარე **ო. ზუხბაია.**

საბჭოთა კავშირის გამოჩენილ სპორტსმენებს, ევროპის ჩემპიონებსა და მსოფლიო რეკორდსმენებს ტ. ზელენცოვას, ს. ულმასოვას, ლ. კონდრატიევას, ა. გრიგორიევს, დ. სტუკალოვსა და სხვებს მოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა და ჩემპიონატის გახსნის ნიშნად ანძაზე აღმართავენ. გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს ჰიმნები. ნორჩი მოცეკვავეები ჩემპიონატის მონაწილეებს თაიგულებს გადასცემენ და შეკრებილთ თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ...

...ბრძოლები გრძელდება. 10000 მეტრზე ფინალურ გარბენში 26 სპორტსმენი ჩაება, რომელთა შორის მხოლოდ შვიდია სპორტის ოსტატობის კანდიდატი (სხვებმა ეს საფეხური დიდი ხანია რაც გაიარეს), თავდაპირველად მოსკოველი სპორტის ოსტატი ი. სიპატოვი დაწინაურდა, მაგრამ მეორე წრეზე ლიდერობა ხელთ იგდო ვ. ნიკოლაევმა (მოლდავეთი). მერე წინ გაიჭრა მრავალ ბრძოლებში ნაწრთობი 37 წლის ალმაათელი ოსტატი ა. ბადრანკოვი და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. მართალია, მას მეშვიდე კილომეტრამდე სმოლენსკელი ოსტატი ი. პარლუი ლანდივით არ მოშორებია, მაგრამ მერე პარლუიც დაიღალა და ბადრანკოვი ბოლო სამი კილომეტრის მანძილზე წამზომსღა ებრძოდა.

**ბადრანკოვმა** პირადი რეკორდის (28.09,2) გაუმჯობესება ვერ შეძლო, მაგრამ სპორტსმენი აშკარად კმაყოფილი იყო იმით, რომ თავის გუნდს ოქროს მედალი მოუტანა — 28.54,6. ვერცხლის მედალი ერგო **პარლუის**, ბრინჯაოსი — **ნიკოლაევს**.

ამ დღეს მედლების კიდევ ორი კომპლექტი დარიგდა — ვაჟებისა და ქალებისთვის 100 მეტრზე რბენაში. ამ მოკლე, მაგრამ დრამატიზმით აღსავსე დისტანციაზე უძლიერესებს სამ-სამჯერ მოუხდათ გამოსვლა. შემდეგ — ფინალი.

რვა ფინალისტ ქალს შორის სამი მოსკოველი, ამდენივე ლენინგრადელი და თითოც უკრაინისა და ბელორუსიის გუნდის წევრები იყვნენ. ცხადია, მოსკოველების ა. ანისიმოვასა და ლ. სტოროჟკოვას წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა: მათ ხომ პრაღაში ესტაფეტაში ოქროს მედლები მოიხვეჭეს. ახლა უძლიერესი **სტოროჟკოვა** აღმოჩნდა (11,28). **ანისიმოვა** მას 0,09 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი მიიღო ლენინგრადელმა **ვ. კომისოვამ.**

ვაჟებში ამ დისტანციაზე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, უკრაინელი **ვ. იგნატენკო** — 10,31. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ **ა. აქსინინი** (10,37) და **ვ. ვლადიმირცევი** (თურქმენეთი) — 10,56.

**ო. ბელაშვილი.**





**სურათებზე:** 110 მეტრზე თარჯრბენში (ზევით) და 100 მეტრზე ქალთა შეჯიბრების მომენტები. ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ბევრ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას — ბევრი რომია ქალაქი, რაიონი, სპორტკლუბი, კოლექტივი, სადაც სპორტის პროპაგანდის საშუალებები სრულად და რაციონალურად იყოს გამოყენებული. ამის მიზეზი ის არის, რომ ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ბევრ ხელმძღვანელს სათანადოდ არ აქვს შეგნებული მისი როლი და მნიშვნელობა მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისთვის, სპორტის ზრდისთვის.

ამ წერილში საუბარი გვექნება **ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მნიშვნელობის, ამოცანების და საშუალებების შესახებ.** ვფიქრობ, ამით ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა რაიონული და საქალაქო საბჭოების, სპორტკლუბების, ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელებს ერთგვარ დახმარებას გავუწევთ პროპაგანდის საშუალებების სათანადოდ გამოყენებაში.

— სპორტის პროპაგანდისტის დასახმარებლად —

# უკეთ მოვიმარჯვოთ მძლავრი იარაღი

ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა — ადამიანების შეგნებაში ფიზკულტურული ცოდნის (მეცნიერულად დასაბუთებული რჩევები, რეკომენდაციები, მეთოდური კონცეფციები) დანერგვის, მისი გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული მუშაობაა, რაც მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით (ბეჭდვითი სიტყვა, ტელეხედვა, რადიო, კინო და ა. შ.) ხორციელდება. მისი მიზანია ფიზკულტურისა და სპორტის მოსახლეობის ფართო ფენების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა.

ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა მრავალნაირი საშუალებებით ხორციელდება. ქვემოთ მოგვყავს ამ საშუალებების მოკლე დახასიათება.

**პროპაგანდის ზეპირი ფორმა** უმეტესად მოქმედი, მრავალსახოვანი და გავრცელებული, ხელმისაწვდომი და ეფექტური ფორმაა. მის ნაირსახეობებს წარმოადგენს: ა) **ლექციები და მოხსენებები,** რომლებსაც მართავენ ფიზკულტურული ორგანიზაციები საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად; ბ) **კითხვა-პასუხის საღამოები.** პასუხებისთვის მოწვეული უნდა იქნან ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, მოწინავე მწვრთნელები, მასწავლებლები, ექიმები, წამყვანი სპორტსმენები; გ) **საღამოს შეხვედრები.** იგი ეწყობა გამოჩენილ სპორტსმენებთან, სპორტულ ჟურნალისტებთან, რადიოკომენტატორებთან, ტურისტული დელეგაციის წევრებთან და ა. შ.; დ) **სახალხო უნივერსიტეტები** სისტემატური და გეგმაზომიერი ლექციური პროპაგანდის შედარებით ახალი და სრულყოფილი ფორმაა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში.

**ბეჭდვითი პროპაგანდა** პროპაგანდის მეტად მნიშვნელოვანი და ეფექტური ფორმაა. მისი დახმარებით წარმატებით ხორციელდება საბჭოთა ხალხის ფიზაღზრდისა და მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ამოცანები. საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები — სპორტული გაზეთები (ცენტრალური, რესპუბლიკური), ჟურნალები და გამომცემლობები, რომლებიც სპორტულ წიგნებს უშვებენ.

**ფიზკულტურულ-სპორტული კედლის გაზეთი** პროპაგანდის ხელმისაწვდომი ფორმაა ნებისმიერი სპორტკლუბის, ფიზკულტურის კოლექტივისთვის, და, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნას ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობაში.

**პროპაგანდა რადიოსა და ტელეხედვის მეშვეობით.** პროპაგანდის ეს ფორმა მეტად მასობრივი და ეფექტურია. ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში თუ სოფელში მილიონობით მოსახლე ისმენს რადიო-გადაცემებს სპორტულ თემებზე. უფრო მეტი მასობრივი ხასიათი აქვს პროპაგანდას ტელეხედვის მეშვეობით. ლენინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ ტელეხედვას, როგორც პროპაგანდის საშუალებას, მეორე ადგილი უჭირავს ბეჭდვითი პროპაგანდის შემდეგ.

**პროპაგანდა კინოს საშუალებით.** უკანასკნელ წლებში სპორტული ფილმების ხშირი გამოშვებისა და მათი ფართო ჩვენების საფუძველზე შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის განსაკუთრებული ფორმა — კინოპროპაგანდა. სპორტული კინემატოგრაფია ვითარდება შემდეგი ოთხი ჟანრის მიხედვით: მხატვრული, ქრონიკულ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო-მეთოდური.

**თვალსაჩინო პროპაგანდა** ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტოგრაფია, ფილატელია) გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნულიდან პროპაგანდის საქმეს განსაკუთრებით აქტიურად და ოპერატიულად ემსახურება გრაფიკა — სპორტული პლაკატი, რომელიც თავისი დანიშნულების მიხედვით შეიძლება პროპაგანდისტული, საინფორმაციო-სარეკლამო ან სასწავლო-მეთოდური ხასიათის იყოს. ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდაში დიდ როლს თამაშობს, აგრეთვე სპორტული ფოტოგრაფია.

თვალსაჩინო პროპაგანდის საშუალებებს მიეკუთვნება საგნები, რომლებიც სპორტული ცხოვრების ატრიბუტებს წარმოადგენენ: დროშები და სპორტული საზოგადოებების ალმები, თასები და ჯილდოები, სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ნიშნები, ემბლემები...

უკანასკნელ წლებში გამოჩნდა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ახალი ფორმა — ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუზეუმი.

თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოწოდებების, ალბომების, რეკორდების ცხრილების, საპატიო დაფის ფართო გამოყენებას...

მოწოდებებისა და ლოზუნგების ტექსტი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს იმ ამოცანას, რომელიც დასმულია ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე.

ბოლო ხანებში ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტკლუბებს შორის დიდი გავრცელება ჰპოვა შრომითი გამარჯვებებისა და სპორტული დიდების დაფებმა. მათზე გამოკრულია იმ სპორტსმენთა სურათები, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს სპორტსა და შრომაში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის თვალსაჩინო ფორმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფიზკულტურულ და სპორტულ დღესასწაულებს, აღლუმებს, სპარტაკიადებს, საჩვენებელ გამოსვლებს, სააგიტაციო ლაშქრობებს, გადარბენებს, შეჯიბრებებს, ღია სტარტებს, ღია რინგებს, ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსებს...

კარგად ორგანიზებული და ჩატარებული შეჯიბრება მრავალრიცხოვან მაყურებელთა დასწრებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო პროპაგანდის საუკეთესო ფორმაა.

რაიონში, ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ხელმძღვანელობის მიზნით სპორტკომიტეტთან ყალიბდება პროპაგანდის ფედერაცია 7-15 კაცის შემადგენლობით, ფედერაცია ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს. ფედერაცია ადგენს წლიურ სამუშაო გეგმას, რომლის განხილვა და დამტკიცება ხდება კომიტეტის სხდომაზე.

ქვემოთ მოგვყავს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციის მუშაობის წლიური სამუშაო გეგმის ნიმუში.

აღნიშნული გეგმის მუშაობის შინაარსი შემდეგი პუნქტებისაგან უნდა შედგებოდეს:

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციის სამუშაო გეგმის შედგენა და სპორტკომიტეტის სხდომაზე განსახილველად დასამტკიცებლად წარდგენა;

ლექტორთა ჯგუფის ჩამოყალიბება;

ლექტორთა ჯგუფის წევრთა ლექციების რეცენზირების ორგანიზაცია;

ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტკლუბების ზონებად დაყოფა და მათზე პროპაგანდის ფედერაციის წევრთა მიმაგრება;

სპორტული კინო-ფილმების ჩვენების ორგანიზაცია;

რაიონის, ქალაქის ფიზკულტურული აქტივის თათბირ-სემინარის ჩატარება ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საკითხებზე;

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობიდან ლექტორის მოწვევა ლექციის წასაკითხად ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე;

ფიზკულტურის კოლექტივებისთვის, სპორტკლუბებისთვის დახმარების გაწევა: ა) თვალსაჩინო აგიტაციის მასალების (ლოზუნგები, მოწოდებები, პლაკატები, ფოტოსტენდები გამოჩენილ სპორტსმენთა სურათებით, რეკორდების ცხრილები) გამოყენებაში; ბ) სპორტული კედლის გაზეთის გამოშვებაში; გ) მოწინავე სპორტსმენებთან, მწვრთნელ-მასწავლებლებთან, სპორტის ვეტერანებთან შეხვედრების ორგანიზებაში;

ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ლექცია- მოხსენებებისა და საჩვენებელი ღონისძიებების ორგანიზაცია რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა მონაწილეობით;

რაიონში [illegible] ჩატარებული სპორტული შეჯიბრებების, ადგილობრივი [illegible] და რაიონის მოწინავე სპორტსმენთა პოპულარიზაცია ადგილობრივი რადიოსა და პრესის მეშვეობით;

ქართულ ჭიდაობაში, ლელობურთში, ისინდში, ჩოგბურთში, ყაბახში, ჯირითში, საყებურთში, ლახტში.... საჩვენებელი შეჯიბრებების მოწყობა სპორტის ხალხური სახეობებისა და მოძრავი თამაშების აღდგენისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით;

ამა თუ იმ დღესასწაულთან (7 ნოემბერი, 1 მაისი, გამარჯვების დღე, ქალთა საერთაშორისო დღე...) დაკავშირებით ტურისტული ლაშქრობების, ფიზკულტურული აღლუმებისა და სხვა ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება;

რაიონის, ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმის მოწყობა, მუზეუმმა უნდა ასახოს რაიონში, ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარების ისტორია;

ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტკლუბებში პროპაგანდის მდგომარეობის შემოწმება, შემოწმების შედეგების პერიოდული მოსმენა პროპაგანდის ფედერაციის სხდომაზე (საჭიროების შემთხვევაში კი საკითხის კომიტეტის სხდომაზე გატანა). გეგმის ამ პუნქტთან დაკავშირებით პროპაგანდის ფედერაციას წინასწარ უნდა ჰქონდეს შედგენილი ცალკეულ ობიექტთა შემოწმების კალენდარული გეგმა;

სპორტული კედლის გაზეთების, თვალსაჩინო აგიტაციის მასალების, სპორტული ბაზებისა და ინვენტარის, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის მდგომარეობის, ფიზკულტურის კოლექტივებთან, სპორტკლუბებთან არსებული სპორტული კუთხეების. სარაიონო, საქალაქო კონკურს-დათვალიერების მოწყობა. კონკურს-დათვალიერების მიზანია საუკეთესო კოლექტივის გამოვლენა მუშაობის ჩამოთვლილი უბნების მიხედვით.

გეგმაში შედის, აგრეთვე, რაიონში, ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მდგომარეობის დონის შესახებ მსჯელობა შესაბამისი (სარაიონო, საქალაქო) სპორტკომიტეტის სხდომაზე.

**დ. ჟვანია,**
**საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპორტის თეორიისა და მეთოდიკის სექტორის გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## საგამოფენო სტენდი მოგვითხრობს

●

**ეძღვნება საბჭოთა ფეხბურთის 80 წლისთავს**

●



**თბილისის** კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა „ფეხბურთი საბჭოთა კავშირში“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ფეხბურთის მე-80 წლისთავისადმი.

1898 წლის 13 სექტემბერი ითვლება საბჭოთა ფეხბურთის დაბადების თარიღად. ამ დღეს გაიმართა პირველი მატჩი სანქტ-პეტერბურგის სპორტის მოყვარულთა წრისა და სანქტ-პეტერბურგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის...

მიმდინარე წელი ჩვენი ფეხბურთისათვის კიდევ ერთი გარემოებით არის აღსანიშნავი: თბილისის „დინამო“ წელს საიუბილეო, რიგით მე-40 ჩემპიონატს ატარებს.

საჯარო ბიბლიოთეკის მასობრივი მუშაობის განყოფილების თანამშრომლებმა გამოფინეს 100-ზე მეტი წიგნი და პოპულარული ჟურნალი საინტერესო მასალებით ფეხბურთზე.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ერთმანეთის გვერდით ჩაწკრივებული ა. ჟორდანიას, ბ. პაიჭაძის, გ. ჩეჩელაშვილის, ა. დოროხოვის, ა. ლოლობერიძის, გ. ფედოტოვის, ვ. ფედოტოვის, ლ. იაშინის, ვ. პონედელნიკის, პელეს, ა. დი სტეფანოს, ს. მეტიუზის მოგონებათა წიგნები.

აქვეა ჟურნალისტების — მ. კაკაბაძის „მეხიკო, მეხიკო...“, ი. ფესუნენკოს „პელე, გარინჩა, ფეხბურთი“, გ. ფანჯიკიძის „ოქროს გუნდი“, მ. მოსაშვილის „ფეხბურთის კარუზო“, გ. მეტრეველის „მინდორზე მეთერთმეტე ნომერი“, შ. ლარცულიანის „ოქროს ქალღმერთის მოტაცება“, ნ. გუგუშვილის „9 ჩემპიონატი“, ბ. ქორქიას „ახალი ფეხბურთის ერა“, ა. გოგოლაშვილის „ნიკეს ცხრა გაზაფხული“ და სხვ.

ცალკეა თბილისის „დინამოსადმი“ მიძღვნილი ლიტერატურა, გვერდით კი თავმოყრილია მასალები მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

საიუბილეო სტენდი მნახველთა მოწონებას იმსახურებს.

**ზ. ახალაძე.**

● ● ●

**სურათზე:** საიუბილეო სტენდთან „ფეხბურთი საბჭოთა კავშირში“.

ავტორის ფოტო.

**[illegible]**

## ✦ ზესტაფონი

აქ გაიმართა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა სასოფლო კლუბებთან არსებულ მოჭადრაკეთა კოლექტივებს შორის. ფინალურ ტურნირში ყველას აჯობა ქვედა საქარის გუნდმა. მეორე ადგილი ხვდა პირველი სვირის, მესამე — კლდეეთის მოჭადრაკეებს. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ხოლო ჩემპიონს გარდამავალი თასიც გადაეცა.

**ა. განუგრავა.**

## ✦ ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ამას წინათ ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე ჩაატარა პირადგუნდური პირველობა ავტომრავალჭიდში. ბრძოლაში ჩაება ხუთი ფიზკულტურული კოლექტივის 21 სპორტსმენი. მსუბუქი ავტომანქანების შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრა სამგზავრო ავტოტრანსპორტის საწარმოს ნაკრებმა. მეორე ადგილი ხვდა ტაქსომოტორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, მესამე — ქალაქის ავტოსკოლას. პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ო. ქარდავა, მეორე ადგილი დაიკავა ა. ფიფიამ (ორივე — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო), მესამე ადგილზე მ. ბულია (ქალაქის ავტოსკოლა).

**ბ. ალშიბაია.**
(ჩვენი კორ.)

ფეხბურთი

# ევროპის ტურნირები

13 სექტემბერს გაიმართა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მატჩები ფეხბურთში. 4 საბჭოთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ყველა ამ ტურნირის შეხვედრაში.

უეფა-ს თასზე თბილისის დინამოელებთან ერთად პირველ მატჩში წარმატებას მიაღწია მოსკოვის „ტორპედომაც“. ტორპედოელებმა შინ მიიღეს ნორვეგიის „მოლდე“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. პირველ ტაიმში ბურთები გაიტანეს ვასილიევმა და მირონოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ — გრიშინმა და სუჩილინმა.

ჩემპიონთა თასის პირველი მატჩი კიევის „დინამოს“ ფინეთის ქალაქ ვალკეაკოსკიში ჰქონდა ადგილობრივ „ვალკეაკოსკენ ჰაკასთან“. მასპინძლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, დასაწყისში რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, კერძოდ გოლის გატანა შეეძლოთ სალონენს, უიმონენს, მაგრამ კიეველებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში, შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ და 72-ე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს. ერთადერთი გოლი ამ მატჩში გაიტანა ბოლტაჩამ.

წარუმატებლად დაიწყო თასების მფლობელთა თასის გათამაშება დონეცკის „შახტიორმა“, რომელიც ბარსელონაში ეთამაშებოდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს. მატჩის დაწყებიდან 20 წამის შემდეგ ევროპული ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირმა, ავსტრიელმა კრანკლმა, რომელიც ახლახან გადავიდა „ბარსელონაში“, გახსნა ანგარიში.

24-ე წუთზე სანჩესმა მეორე ბურთი გაგზავნა სტუმრების კარში, ხოლო როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, იმავე კრანკლმა კიდევ ერთხელ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 3:0.

27 სექტემბერს გაიმართება სამივე ტურნირის განმეორებითი შეხვედრები. კიევის „დინამო“ „ვალკეაკოსკენ ჰაკას“ მიიღებს ხარკოვში, ხოლო „შახტიორი“ ესპანეთის „ბარსელონას“ — დონეცკში. თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ გამოვლენ ნეაპოლისა და მოლდეს სტადიონებზე.

მოგვყავს 13 სექტემბრის შეხვედრათა შედეგები:

## ჩემპიონთა თასი

### მეთექვსმეტედფინალი, I ტური

„ვალკეაკოსკენ ჰაკა“ (ვალკეაკოსკი, ფინეთი) — „დინამო“ (კიევი) 0:1.
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „პროგრესი“ (ლუქსემბურგი) 5:0.
აეკ (საბერძნეთი) — „პორტო“ (პორტუგალია) 6:1.
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ფშვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 2:1.
„ბრიუგე“ (ბელგია) — „ვისლა“ (პოლონეთი) 2:1.
„ვილანია“ (ალბანეთი) — „აუსტრია“ (ავსტრია) 2:0.
„ზბროიოვკა“ (ჩეხოსლოვაკია) — „უიპეშტ-დოჟა“ (უნგრეთი) 2:2.
„კიოლნი“ (გფრ) — „აკრანესი“ (ისლანდია) 4:1.
„იუვენტუსი“ (იტალია) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 1:0.
„ნოტინჰემ ფორესტი“ (ინგლისი) — „ლივერპული“ (ინგლისი) 2:0.
„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ლა ვალეტა“ (მალტა) 8:0.
„მალმე“ (შვეცია) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 0:0.
„ომონია“ (კიპროსი) — „ბოჰემიანსი“ (ირლანდია) 2:1.
„ოდენსე“ (დანია) — „ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) 2:2.
„ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია) — „ლილესტრიომი“ (ნორვეგია) 0:0.
„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 2:0.

## თასების თასი

### მეთექვსმეტედფინალი, I ტური

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 3:0.
„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) 0:1.
„ვალიური“ (ისლანდია) — „მაგდებურგი“ (გდრ) 1:1.
„მარეკი“ (ბულგარეთი) — „აბერდინი“ (შოტლანდია) 3:2.
„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „კალმარი“ (შვეცია) 2:0.
„ბევერენ-ვაასი“ (ბელგია) — „ბალიმინა“ (ჩრ. ირლანდია) 3:0.
პაოკ (საბერძნეთი) — „სერვეტი“ (შოტლანდია) 2:0.
„უნივერსიტატეა“ (რუმინეთი) — „ფორტუნა“ (გფრ) 3:4.
„ზაგლემბე“ (პოლონეთი) — „სვაროვსკი-ვაკერი“ (ავსტრია) 2:3.
„აზ-67 ალკმაარი“ (ჰოლანდია) — „იფსვიჩი“ (ინგლისი) 0:0.
„შემროკ როვერსი“ (ირლანდია) — „აპოელი“ (კიპროსი) 2:0.
„რიეკა“ (იუგოსლავია) — „რექსჰემი“ (უელსი) 3:0.
„ფლორიანა“ (მალტა) — „ინტერნაციონალე“ (იტალია) 1:3.
„ბოდე გლიმტი“ (ნორვეგია) — „ეში“ (ლუქსემბურგი) 4:1 (პირველი მატჩი — 0:1).
„ფრემი“ (დანია) — „ნანსი“ (საფრანგეთი) 2:0.

## უეფა-ს თასი

### ოცდამეთორმეტედფინალი, I ტური

„დინამო“ (თბილისი) — „ნაპოლი“ (იტალია) 2:0.
„ტორპედო“ (მოსკოვი) — „მოლდე“ (ნორვეგია) 4:0.
„დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ლანეროსი“ (იტალია) 1:0.
ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი) 2:1.
„ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) — „შტურმი“ (ავსტრია) 5:1.
„არჯესი“ (რუმინეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) 3:0.
„ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია) 2:0.
„ევერტონი“ (ინგლისი) — „ფინ ჰარპსი“ (შოტლანდია) 5:0.
„ჟენესი“ (ლუქსემბურგი) — „ლოზანა“ (შვეიცარია) 0:0.
„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) — 0:2.
„რეალი“ (ხიხონი, ესპანეთი) — „ტორინო“ (იტალია) 3:0.
„სპორტინგი“ (ბრაგა, პორტუგალია) — „ჰიბერნიანი“ (მალტა) 5:0.
„გალათასარაი“ (თურქეთი) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი) 1:3.
„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 5:2.
„1903 კოპენჰაგენი“ (დანია) — „კუოპიო პალოსეურა“ (ფინეთი) 1:2.
„ბაზელი“ (შვეიცარია) — „შტუტგარტი“ (გფრ) 2:3.
„ელფსბორგი“ (შვეცია) — „რესინგი“ (სტრასბურგი, საფრანგეთი) 2:0.
„სტანდარტი“ (ბელგია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 1:0.
„სტარტი“ (ნორვეგია) — „ესბიორგი“ (დანია) 0:0.
„არსენალი“ (ინგლისი) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) 3:0.
„კარლ ცაისი“ (გდრ) — „ლიერსი“ (ბელგია) 1:0.
„ვესტმანაეიარი“ (ისლანდია) — „გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია) 0:0.
„ტვენტე“ (ჰოლანდია) — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) 1:1.
„ჰიბერნიანი“ (შოტლანდია) — „ნორჩეპინგი“ (შვეცია) 3:2.
„პოლიტექნიკი“ (ტიმიშოარა, რუმინეთი) — მტკ (უნგრეთი) 2:0.
„მილანი“ (იტალია) — „ლოკომოტივი“ (კოშიცე, ჩეხოსლოვაკია) — [illegible]0.
„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — „რაპიდი“ (ავსტრია) 2:0.
„ჰერტა“ (დას. ბერლინი) — „თრაკია“ (ბულგარეთი) 0:0.
„დუისბურგი“ (გფრ) — „ლეხი“ (პოლონეთი) — 5:0.

ფეხბურთი

# „გუნდთან ერთად“

თბილისის „დინამოს“ კოლექტივი — გუნდი, მისი გულშემატკივრები, სტადიონის თანამშრომლები — „გუნდთან ერთად“ პრიზისთვის ბრძოლაში ერთპიროვნული ლიდერია. თბილისელებს 1180 ქულა აქვთ.

1045 ქულით II ადგილზე არიან ოდესელები. მე-18 ტურში „ჩერნომორეცისა“ და „ზარიას“ შეხვედრაში ერთ-ერთმა ვაიგულშემატკივარმა სარბენ ბილიკზე რაღაც საგანი ისროლა. მატჩის მსაჯმა-ინსპექტორმა ეს შემთხვევა აღნუსხა და ოდესელებმა 30 ქულა დაკარგეს. სხვათა შორის, ბოლო 9 ტურში ეს იყო მაყურებლის გამო გუნდის დასჯის ერთადერთი შემთხვევა. რაც შეეხება მინდვრის ხარისხსა და შეჯიბრების ორგანიზაციას, აქ ყველაფერი რიგზე იყო.

III ადგილზეა დონეცკის „შახტიორის“ კოლექტივი — 975 ქულა. 22-ე ტურში, ტაშკენტში, მსაჯობით უკმაყოფილო დონეცკელებმა გააპროტესტეს მატჩი. სააპელაციო ჟიურიმ საკმაო საფუძველი ვერ ნახა პროტესტის დასაკმაყოფილებლად. უფრო მეტიც, „შახტიორის“ ხელმძღვანელობასა და ცალკეულ მოთამაშეებს მიეთითათ მათ მხრივ არასწორი საქციელის გამო, ხოლო „გუნდთან ერთად“ პრიზის [illegible] 40 ქულა ჩამოაკლო სტარუხინის მიერ მიღებული გაფრთხილებისთვის.

მომდევნო ადგილებზე არიან: „პახტაკორი“ — 885 ქულა, „ზენიტი“ — 855, „სპარტაკი“ — 775, „კაირატი“ — 765, „დნეპრი“ — 765, „ტორპედო“ — 760, კიევის „დინამო“ — 755, „ნეფთჩი“ — 745, „ზარია“ — 670, მოსკოვის „დინამო“ — 505, „არარატი“ — 495, ცსკა — 410, „ლოკომოტივი“ — 240.







ო. კოტორაშვილის, შ. ზარგარიანისა და გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

ეს ფოტოკადრები კიდევ ერთხელ გვაბრუნებს 13 სექტემბერს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მატჩთან. ამ საინტერესო შეხვედრაში თბილისის „დინამომ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა (2:0) უეფა-ს თასის გათამაშებაში თავის პირველ მეტოქესთან ნეაპოლის „ნაპოლისთან“ და გულშემატკივრებს საბოლოო წარმატების საკმაოდ დიდი იმედიც ჩაუსახა.

მკითხველმა ალბათ იცნო შუა ფოტოზე აღბეჭდილი კაცი. ეს იტალიელთა მწვრთნელი ჯ. დი მარციოა. მთელი მატჩის განმავლობაში მწვრთნელი „აკრძალული“ ხერხებით ცდილობდა გუნდის თამაშში კორექტივების შეტანას. პირველი ასეთი მითითება ფილიპის, იტალიელთა ნახევარდაცვის ბურჯს ეხებოდა. შეხვედრის დაწყებიდან ათი წუთიც არ იყო გასული, როცა დასავლეთ ტრიბუნაზე მსხდომმა მაყურებლებმაც კარგად შენიშნეს, თუ როგორი გულმოდგინებით აჩვენებდა დი მარციო „შვიდიანს“. თბილისელთა კაპიტანმა მართლაც დაიმსახურა მეტოქის ასეთნაირი ყურადღება, მაგრამ... ამ დღეს მანუჩარ მაჩაიძის შეჩერება (ზედა ფოტო) ალბათ შეუძლებელი იყო. ფილიპის გარდა თბილისელი ნახევარმცველის დაოკება სხვებმაც სცადეს და ისევ უშედეგოდ. ერთი დეტალი: რომელიღაც მომენტში „დინამოს“ კაპიტანი უმეთვალყურეოდ დარჩა. თანაგუნდელებმა ფილიპის ანიშნეს, „შენი კაციაო“. იტალიელის ჟესტი (რაღაცნაირად გულგაცრუებულმა ჩაიქნია ხელი) არაორაზროვნად მეტყველებდა თბილისელთა „შვიდიანის“ შებოჭვის უაზრობაზე — ფილიპიმ კაპიტულაცია გამოაცხადა.

ქვედა ფოტოზე რამაზ შენგელიას გოლია აღბეჭდილი. რა დასამალია, და, ამ მატჩში ახალგაზრდა ფორვარდს ყველაზე გამოცდილი მეურვე, „ნაპოლის“ მარცხენა მცველი (№ 2) ბრუსკოლოტი შეხვდა. იტალიელთა კაპიტანი, ისე როგორც დანარჩენი მცველები, მთელ მინდორზე დაჰყვებოდა თბილისელ ფორვარდს. და მაინც, რამაზმა რამდენჯერმე მოახერხა შეუმჩნევლად „გაქცეოდა“ თავის მეურვეს. ერთ-ერთი მათგანი გოლით (მართლაც ლამაზი გოლით) დამთავრდა. თუმცა ამ გოლის თანაავტორად, სავსებით სამართლიანად, კიდევ ერთი ფეხბურთელიც ითვლება. დავით ყიფიანის ზუსტ გადაცემას მისივე „გახსნა“ და მცველთა გატყუება მოჰყვა. იტალიელთა დაცვა წამით შეყოვნდა: როგორ გაგრძელდება შეტევა? რას იზამს დინამოელთა „თერთმეტი“, კარში დაარტყამს თუ საჯარიმოში შეჭრილ ყიფიანს დაუბრუნებს ბურთს? შენგელიამ კარგად იგრძნო მცველთა ყოყმანი, ისიც დაინახა, რომ მეკარე კასტელინის არასწორი პოზიცია ჰქონდა შერჩეული და... ზუსტად, არც თუ ძლიერად დარტყმული ბურთი კარის მარცხენა მაღალ კუთხეში დაუბრკოლებლად ჩაეშვა.

# ფედერაციის პლენუმი

14 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჯეჯელავა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს იმ მიღწევებზე, რომლებიც ბოლო ხანებში მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა. ხაზი გაუსვეს თბილისის „დინამოს“ შესანიშნავ წარმატებებს, ჭაბუკთა გუნდების კარგ მაჩვენებლებს საკავშირო მასშტაბის ასპარეზზე, სასიკეთო ძვრებს სპორტის ამ სახეობაში.

მაგრამ ამასთან ერთად ყურადღება იქნა გამახვილებული იმ ნაკლოვანებებზეც, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ფეხბურთში. ლაპარაკი იყო საქართველოს პირველობის მატჩების დაბალ დონეზე, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზე, უხარისხო მსაჯობაზე, აღინიშნა ისიც, რომ ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდებიდან ჯერ კიდევ არასაკმარისი შევსება მოდის ჩვენი ოსტატების კოლექტივებისთვის.

პლენუმმა აირჩია ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ი. ხარატიშვილი.

## პაექრობა ფრანგულ დაცვაში

**ბუშიწშის** ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXII პარტია გაიმართა.

მეტოქეებმა მეორედ გაითამაშეს ფრანგული დაცვა. კარპოვმა კვლავ ტარაშის სისტემა არჩია. პრეტენდენტს ცენტრალური გამხოლოებული პაიკი შექმნა, რამაც ჩემპიონს პოზიციური უპირატესობა მოუტანა.

კარპოვი ენდშპილში გადავიდა და მეფის პაიკები აამოძრავა. კონტრთამაშის მიღების მიზნით კორჩნოიმ გამხოლოებული პაიკი შესწირა და აქტიური თამაში გააჩაღა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა ზედმეტი პაიკი უკან დაუბრუნა და კვლავ ინიციატივას დაეუფლა.

პარტიის ფინალი ცაიტნოტში მიმდინარეობდა, თამაშისთვის გამოყოფილი ხუთი საათი რომ ამოიწურა, პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში.

აი, პარტიის ჩანაწერი:

**კარპოვი — კორჩნოი**

ფრანგული დაცვა

**1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. კb5+ კd7 6. ლe2+ კe7 7. dc მf6 8. მb3 0-0 9. კe3 ეe8 10. მf3 კ:c5 11. მ:c5 ლa5+ 12. ლd2 ლ:b5 13. 0-0-0 b6 14. მ:d7 მb:d7 15. მფb1 მe4 16. ლd3 ლ:d3 17. ე:d3 მdf6 18. h3 მc5 19. ეdd1 მe6 20. c3 b5 21. მd4 a6 22. მc2 a5 23. ეd3 ეab8 24. ეhd1 h6 25. f4 ეbc8 26. g4 d4 27. cd მd5 28. ეf1 b4 29. კd2 ეe7 30. f5 მg5 31. მe3 მf6 32. d5 მ:h3 33. d6 ეd7 34. მd5 მ:d5 35. ე:d5 ეa8 36. კe3 მg5 37. კb6 მe4 38. ეfd1 a4 39. ე5d4 ეe8 40. ე:b4 ე:d6 41. ე:d6 მ:d6 42. კc7 ეe1+ 43. მფc2 მe8 44. კa5 a3 45. ეb8 ეe7 46. კb4 ეe2+ 47. მფd3** პარტია გადაიდო.

**ბუშინ** პარტია ასე დასრულდა: **47. ... ab 48. კd2 ეe7 49. a4 ეd7+ 50. მფc2 მფh7 51. ე:b2 h5 52. gh მd6 53. ეa2 მ:f5 54. a5 მd4+ 55. მფc3 მc6 56. a6 ეd5 57. კf4 ეf5 58. კd6 ეd5 59. კg3 ეg5 60. კf2 ე:h5 61. მფc4 მa5+ 62. მფc3 მc6 63. ეa4 მფg8 64. მფc4 მa5+.** ამ მდგომარეობაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

XXIII პარტია დღეს, 16 სექტემბერს უნდა შედგეს.

## ჭადრაკი

**გასულ** ოთხშაბათს ბიჭვინთაში, ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩში მეცხრე პარტია გათამაშდა. როგორც ვიუწყებოდით, ეს შეხვედრა ჩიბურდანიძემ მოიგო.

აი, ეს პარტიაც:

**ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი**

უფიმცევის დაცვა

**1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. g3 კg7 5. კg2 0-0 6. მge2 მbd7 7. 0-0 c5 8. h3 a6 9. კe3 ლc7 10. ლd2 cd 11. მ:d4 მe5 12. b3 მc6 13. მ:c6 bc 14. ეad1 კb7 15. მa4 c5 16. e5 de 17. კ:b7 ლ:b7 18. მ:c5 ლc8 19. მფh2 ეa7 20. c4 ეc7 21. მa4 მe4 22. ლd3 მd6 23. მb6 ლb7 24. მd5 ეc6 25. c5 მc8 26. b4 e6 27. მb6 e4 28. ლd2 მ:b6 29. cb კc3 30. ლd7 ე:b6 31. კ:b6 ლ:b6 32. a3 კe5 33. მფg2 e3 34. fe ლ:e3 35. ლd3 ლg5 36. ეf3 ეc8 37. ეd2 მფg7 38. ე:f7+ მფh6 39. h4** შავები დანებდნენ.

ამ პარტიაში გაფრინდაშვილმა მესამედ გამოიყენა უფიმცევის დაცვა, მაგრამ ამჯერად პრეტენდენტმა ფიგურების განვითარების სხვა გეგმა აირჩია, ვიდრე მეხუთე და მეშვიდე პარტიებში. მე-11 სვლისთვის დაფაზე შეიქმნა სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტისთვის დამახასიათებელი პოზიცია. მოსალოდნელი იყო პოზიციური ბრძოლა.

მაგრამ მე-15 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა უზუსტოდ ითამაშა. ჩიბურდანიძემ ცენტრალური პაიკის წინსვლით პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. მან ლაზიერის ფრთაზე მიიღო სამი პაიკი ერთის წინააღმდეგ.

შემდგომ ჩიბურდანიძემ აამოძრავა ლაზიერის ფრთის პაიკები და ჩემპიონის ფიგურები შებოჭა. მაშინ გაფრინდაშვილმა ხარისხის შეწირვით სცადა კონტრთამაშის მიღება. ამ მომენტში იგი მოსაფიქრებელი დროის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. 37-ე სვლაზე მას მეტოქის ტაქტიკური დარტყმა გამორჩა და უიმედო პოზიციაში აღმოჩნდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 5,5:3,5 მ. ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. სათამაშო დარჩა შვიდი პარტია. ჩიბურდანიძეს ორთაბრძოლის მოგებისთვის 3 ქულა სჭირდება, გაფრინდაშვილს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად 4,5 ქულა.

დღეს, 16 სექტემბერს მეათე პარტია უნდა გათამაშდეს.

* * *

ბიჭვინთაში ქალთა მსოფლიო პირველობის ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩზე მთელი დატვირთვით მუშაობს პრეს ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ჟურნალისტი, ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის მთავარი რედაქტორის მოადგილე, საერთაშორისო ოსტატი მ. იუდოვიჩი. აქ მუდამ ხალხმრავლობაა: მზადდება თითოეული პარტიის შესახებ სპეციალური ბიულეტენები, ცხელცხელი ცნობები ტელეფონითა და ტელეტაიპით გადაიცემა ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში.

**სურათზე:** პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი მ. იუდოვიჩი (მარჯვნივ) აცნობს ახალი ბიულეტენის შინაარსს მატჩის მსაჯ-მდივანს ე. პეკარსკაიას (შუაში) და ჟურნალისტებს.

თ. ქიქავას ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).



### ხუთი რგოლის ემბლემით



**სურათზე:** მოსკოვის იზმაილოვოს რაიონში 15 ჰექტარზე მშენებარე ხუთი 30-სართულიანი სასტუმრო კომპლექსი, რომელშიც ოლიმპიადის დღეებში ტურისტები იცხოვრებენ.

საქდესის ფოტოქრონიკა.

# ოლიმპიური ფოსტა

**ოლიმპიადა-80-ის** საორგანიზაციო კომიტეტის მისამართით ყოველთვიურად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთის ქვეყნებიდან 600-მდე წერილი და ღია ბარათი მოდის. წერილის ავტორები დიდ ინტერესს იჩენენ მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი და სპორტის ამ გრანდიოზული ზეიმის მომზადებაში დახმარების სურვილს გამოთქვამენ.

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის საქმეთა მართვის ინსპექტორ ოლგა ორლოვასთან ერთად დავათვალიერეთ სექტემბრის პირველ დღეს მოსული ფოსტა. ამ დღეს წერილები მოვიდა ლენინგრადიდან და თბილისიდან, ხაბაროვსკიდან და რიაზანიდან, ბელგოროდის ოლქიდან და პოლტავიდან. უცხოეთიდან გამოგზავნილ წერილებს აქვს აშშ-ის, ავსტრალიის, ინდოეთის, იტალიის, ესპანეთის, გდრ-ის, საფრანგეთის, კანადის, ინგლისის, კუბის, გფრ-ის საფოსტო ნიშნები.

„გვსურს მონაწილეობა მივიღოთ ოლიმპიურ მშენებლობაში, გვაქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის დიდი ობიექტებისა და კომპლექსების მშენებლობის გამოცდილება“, — წერენ რიაზანელი მშენებლები ვ. გერასიმოვი და ი. კოვილინი, ხოლო ინჟინერ-მშენებელი ბელგოროდის ოლქიდან ვ. პოპენკო მზადაა შვებულების პერიოდში უფასოდ იმუშაოს ოლიმპიურ მშენებლობაზე.

„წლეულს ნოემბერში ვამთავრებ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურს, — წერს დ. მურაფა. — გავიგე, რომ ათასობით ჭაბუკი და გოგონა აქტიურად მუშაობს ოლიმპიურ მშენებლობებზე. მსურს ჩემი ძალა და ცოდნა მოვახმარო საქმეს, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის“.

დიახ, მშენებლების, სხვადასხვა პროფესიის მუშების, სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების წერილები ძალიან ბევრია.

უცხოეთიდან მოსული წერილებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ათასობით სპორტის მოყვარული უკვე გეგმავს მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩამოსვლას, აინტერესებთ როგორ შეიძინონ შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთები, გვეკითხებიან თამაშების კულტურული პროგრამის, საბჭოთა კავშირში ტურისტული მარშრუტების შესახებ.

თავის წერილში ფრანცისკო ვალდეს პრადო (კუბა) მადლობას იხდის ჟურნალ „ოლიმპიური პანორამის“ მიღებისთვის და საბჭოთა სპორტსმენებს უსურვებს თამაშების წარმატებით ჩატარებას და მედლების სარეკორდო რაოდენობის მოპოვებას.

ავსტრალიელი პიტერ უოლტჰემი ითხოვს წიგნს მოსკოვის შესახებ, ამერიკელი ივრონ გ. პილიკი — ოლიმპიადის შეჯიბრების განრიგს, ხოლო მისი თანამემამულე ხოტონ მ. ფრენჯისი — პიკტოგრამების ნაკრებს.

ესპანეთის ქალაქ ვალენსიის მცხოვრები ფრანცისკო სიულად დემაიტა წერს, რომ მან ჟურნალ „სპუტნიკიდან“ შეიტყო ოლიმპიურ თემატიკაზე საფოსტო მარკების გამოშვების შესახებ და ითხოვს კატალოგის გაგზავნას, ხოლო მაგდებურგელ (გდრ) ჰანსალბერტ მატიესს აინტერესებს, სად გაივლის ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტი.

ბევრ უცხოელ სპორტისმოყვარულს აინტერესებს საბჭოთა სპორტსმენების მიღწევები წინა ოლიმპიადებში და ჩვენი ჩემპიონების წვრთნის მეთოდები.

„არც ერთი წერილი (ორი-ნახევარი წლის განმავლობაში ოლიმპიადის „საფოსტო ყუთში“ იგი უკვე 14 ათასამდე იყო) არ რჩება უპასუხოდ, — თქვა ო. ორლოვამ. — ჩვენს კორესპონდენტებს პასუხს აძლევენ საორგანიზაციო კომიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები“.

ა. ნოვიკოვი.
საქდესის კორ.

# მ. ალი: ამერიკელებმა უნდა იცოდნენ სიმართლე სსრ კავშირზე

### მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ინტერვიუ

**ნიუ-იორკი.** გამოჩენილი ზანგი სპორტსმენი მოჰამედ ალი გულთბილად იგონებს ამასწინანდელ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, იხსენებს როგორ მიიღო იგი კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. ლ. ი. ბრეჟნევთან საუბრებმა, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ადამიანებთან შეხვედრებმა, თქვა მ. ალიმ ჟურნალ „ნიუ ჟორლდ რევიუსადმი“ ინტერვიუში, ღრმად დამარწმუნა, რომ საბჭოთა ადამიანებს არავისთან არ უნდათ ომი და პირველნი არასოდეს არ დაიწყებენ მას. საბჭოთა ხალხი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრეა, ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის პირობებში შემდგომ, აღმშენებლობითს მშენებლობას ესწრაფვის.

ზოგიერთ ამერიკელს, თქვა სპორტსმენმა, მცდარი წარმოდგენა აქვს შექმნილი საბჭოთა კავშირზე. ეს იმ ტენდენციური პროპაგანდის ბრალია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებს „ცივი ომის“ ხანის დაბრუნებისა და ორი ხალხის ურთიერთობაში შუღლის ჩამოგდების მიზნით. ძალზე სამწუხაროა, რომ ამერიკელთა მასები ისე ახლოს ვერ გაეცნობიან საბჭოთა ხალხს, როგორც მე გავეცანი. მაშინ, ზოგიერთი მჯღაბნელისა და ხელისუფლების წარმომადგენლის მტკიცებათა მიუხედავად, ისინი შეიტყობდნენ, რომ საბჭოთა კავშირში 100-ზე მეტი ეროვნება და ხალხი ცხოვრობს მშვიდობიანად და მეგობრულად, რომ სსრ კავშირი — ესაა სახელმწიფო, სადაც არ არის არავითარი რასობრივი ცრურწმენა, რომ საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით ვერ შეხვდები ვერც ბობოლებს და ვერც ღარიბებს.

შემდეგ მ. ალიმ თქვა, რომ მისი ოცნებაა გადაიღოს და ამერიკელებს უჩვენოს ალალმართალი ფილმი საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შესახებ. ამერიკელებმა უნდა იცოდნენ სიმართლე სსრ კავშირზე, ხაზი გაუსვა მან, ეს მე ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების ურთიერთობის ჭეშმარიტი გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად მიმაჩნია. (საქდესი).

### „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 36-ე ტირაჟებისა, რომლებიც 9 სექტემბერს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს“ 6-49-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 8245 მან., ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 136, ოთხისთვის — 111, სამისთვის — 4.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3087 მან., ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 111, ოთხისთვის — 86, სამისთვის — 4.

„სპორტლოტოს“ 5-36-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მან., ოთხისთვის — 155, სამისთვის — 5.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 10000 მან., ოთხისთვის — 269, სამისთვის — 8.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: **მაგიდის ჩოგბურთის** (1969-70-71 წ. წ. დაბადებულნი), **კრივის** (1964-65-66 წ.წ.), **ტყვიის სროლის** (1963-64-65 წ.წ.) განყოფილებების მოსამზადებელ და სასწავლო ჯგუფებში.

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ერთი ფოტოსურათი (3X4).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სპორტსკოლის დირექციაში, მისამართი: ზ. ჭიჭინაძის ქ. № 1, ტელ. 93-18-10.

## თანამედროვე ხუთჭიდი

# ლიდერთა შორის

**საკავშირო** თასის გათამაშებაზე ვილნიუსში ცხენოსანთა შეჯიბრება ორ დღეს მიმდინარეობდა. პირველ დღეს საუკეთესოთა შორის იყო საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ი. ბრიზგალოვი, რომელმაც 1070 ქულა მიიღო. საბოლოოდ აქ ყველას აჯობა ლიტველმა ა. მიკუტისმა — 1100 ქულა. ამდენივე მოაგროვა რსფსრ-ს გუნდის წევრმა ო. ბულგაკოვმა. შემდეგი ოთხი ადგილი 1070 ქულით დაიკავეს ნ. რუმიანცევმა (ლენინგრადი), ა. ხაპლანოვმა (მოსკოვი), ა. შევჩუკმა (უკრაინა) და ბრიზგალოვმა. საქართველოს გუნდის დანარჩენმა წევრებმა ი. სამსონოვმა და თ. ახალშენიშვილმა შესაბამისად 1068 და 1040 ქულა დააგროვეს და გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდი, მეორე ადგილზე გაიყვანეს — 3176 ქულა, გაიმარჯვეს რსფსრ-ს ხუთჭიდელებმა — 3200. III ადგილზე გავიდნენ ლიტველები — 3120. ექვსეულში მოხვდნენ ლენინგრადის (3110), ლატვიის (2914) და უკრაინის (2851) გუნდები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეჰანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435    საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.    უე 02204